საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 150/01
08/01/2021

150-01-2-202101080921

შპს „ნეოპრინტს“

მის: ქ. თბილისი, ყაზბეგის გამზ., №44ა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით თქვენ მიერ 2020 წლის 3 დეკემბერს წარმოდგენილი N18850 განცხადება, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტში შპს „ნეოპრინტის“ მეორადი ქაღალდის გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

- საწარმოში დასამუშავებლად მიღებული ნარჩენების კოდი და დასახელება (საქართველოს მთავრობის N426 დადგენილების „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად);
- დასამუშავებელი ნარჩენების რაოდენობა და წარმოშობა;
- დასამუშავებლად მიღებული ნარჩენების აღდგენის ოპერაციების კოდები და აღწერილობა ნარჩენების მართვის კოდექსის I დანართის შესაბამისად;
- ნარჩენების დამუშავების პროცესში გამოსაყენებელი საშუალებები და მოწყობილობები, აგრეთვე მათი წარმადობა;
- გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებული უნდა იყოს მიღებული ნედლეულის/ნარჩენების დასაწყობების შესახებ ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშში და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში ნედლეულად მითითებულია ალუმინის სულფატი, ხოლო მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში, გაბნევის მოდელირება და ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების დადგენა განხორციელებულია ალუმინის სილიკატებისთვის, რაც საჭიროებს დაზუსტებას და შესწორებას.
- გზშ-ის ანგარიშში და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში აღნიშნულია, რომ საწარმოს ფუნქციონირების და მის შემოგარენში მიმდინარე პროცესების შედეგად (საწარმო ტერიტორია განთავსებულია საცხოვრებელ ზონაში) კუმულაციური შეფასებისათვის გამოყენებული იქნა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ფონური მაჩვენებლები ქალაქის მოსახლეობის გათვალისწინებით, ამასთან,

ფონურ მაჩვენებლად გამოყენებულია ნული. საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 5 მეტრში განთავსებულია ფარმაცევტული საწარმო, თუმცა არ არის შეფასებული კუმულაციური ზემოქმედება. შესაბამისად, საჭიროა კუმულაციური ზემოქმედების შეფასება და წარმოდგენა;

- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საწარმო ტექნოლოგიურ პროცესში საჭირო წყლის აღებას ახორციელებს მდინარე ნარეკვავიდან, დაზუსტებას საჭიროებს წყალაღების წერტილის კოორდინატები და აღებული წყლის რაოდენობა;
- წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში სრულყოფილად არ არის განხილული საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის საკითხები.

გარდა ამისა, გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშის მე-15 და 48-ე გვერდებზე საწარმოს მისამართად მითითებულია სოფელი წეროვანი, რაც საჭიროებს კორექტირებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, უზრუნველყოთ ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 47-ე მუხლის მე-15 ნაწილით გათვალისწინებული განახლებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის სამინისტროში განმეორებით წარმოდგენა რის შემდგომაც სამინისტრო უზრუნველყოფს შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე